ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 72

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

9 დეკემბერი 2019 წ.

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიქავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები: #11-01193403496 6.12.2019წ; #11-011934294 9.12.2019წ ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

თბილისის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების შესახებ ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს პროგრამაში „ტრანსპლანტაცია“ ესაჭიროება დამატებით 310 000 ლარი, ხოლო პროგრამაში „კომუნალური სუბსიდირება“- 75000 ლარი, რასაც სამსახური აბალანსებს მისთვის მიკუთვნებულ სხვადასხვა პროგრამებში არსებული ეკონომიებით. ეკონომიები გამოწვეულია, აღნიშნული პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა ნაკლები რაოდენობის მომართვიანობის გამო. გარდა ამისა ხდება საქალაქო სამსახურებისა და რაიონული გამგეობების შრომის ანაზღაურების მუხლში თანხების მომატება. მაგალითად: საფინანსო საქალაქო სამსახურს ემატება 4000 ლარი, მუნიციპალურის შესყიდვების საქალაქო სამსახურს- 8200 ლარი, მუნიციპალურ ინსპექციას- 88 000 ლარი, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურს -158 000 ლარი, გლდანის რაიონს- 50662 ლარი, საბურთალოს რიონს- 39800 ლარი, მთაწმინდის რაიონს- 82 000 ლარი, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს- 5700 ლარი. თანხების გადანაწილება ხდება ინფრასტრუქტურის, იურიდიული და ურბანული განვითრების

საქალაქო სამსახურების შესაბამის მუხლში ვაკანსიების შედეგად მიღებული ეკონომიებით. გარდა ამისა დიდუბის რაიონის გამგეობას, „სხვა სოციალური დახმარებების„ პროგრამაში ემატება 20678 ლარი, ხოლო მთაწმინდის რაიონის გამგეობას პროგრამაში „ სხვა სოციალური დახმარებები“ ემატებათ 125 000 ლარი, მათთვის მიკუთვნებულ სხვა პროგრამებში არსებული ეკონომიების ხარჯზე.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობები ითხოვენ მასზე მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართების შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია